აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 18

29 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. იმ საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად, რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 5% ან მეტი, მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 12-ზე და გაიყოს ასეთი სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. თუ საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 12-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი პირველ რიგში თანმიმდევრულად მიეკუთვნება იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 63-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად ვერ მოიპოვეს მანდატები, მაგრამ მოაგროვეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5%-ზე მეტი, ხოლო შემდეგ იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც მოიპოვეს ერთი მანდატი მაინც, ასეთ შემთხვევაში გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი მიეკუთვნება იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც მეტი ხმა მიიღეს.

მუხლი 2. იმ შემთხვევაში თუ გაუნაწილებელი მანდატების რაოდენობა ნაკლებია იმ საარჩევნო სუბიექტების რაოდენობაზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5%-ზე მეტი, მაგრამ ვერ მოიპოვეს მანდატი, ასეთ საარჩევნო სუბიექტებს მანდატი მიენიჭებათ იმ საარჩევნო სუბიექტების ხარჯზე, რომლებმაც მოიპოვეს ერთზე მეტი მანდატი. ასეთ შემთხვევაში პირველ რიგში მანდატი მოაკლდება, იმ საარჩევნო სუბიექტს, რომელმაც მიიღო მეტი მანდატი. იმ შემთხვევაში თუ საარჩევნო სუბიქტების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა თანაბარია, პირველ რიგში მანდატი დააკლდება იმ საარჩევნო სუბიექტს რომელმაც ნაკლები ხმა მიიღო.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია